თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

წესდება

თბილისი,

2024 წელი

შინაარსი

მუხლი 1. სამართლებრივი სტატუსი 2
მუხლი 2. უნივერსიტეტის მისია და ხედვა 3
მუხლი 3. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება-მოვალეობანი 4
მუხლი 4. რექტორი 4
მუხლი 5. კანცლერი 6
მუხლი 6. ეთიკის საბჭო 6
მუხლი 7. დისციპლინური საბჭო 7
მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოები 8
მუხლი 9. უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული (სკოლა/ინსტიტუტი/ლაბორატორია); უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები 8
მუხლი 10. დეკანი 9
მუხლი 11. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი 10
მუხლი 12. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები 12
მუხლი 13. განსაკუთრებული წოდებები 12
მუხლი 14. სტუდენტი 14
მუხლი 15. სტუდენტის პასუხისმგებლობა „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში 18
მუხლი 16. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 19
სტუდენტის სტატუსის შეჩერება 19
მუხლი 17. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 21
სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 21
მუხლი 18. ინტერესთა კონფლიქტი 22
მუხლი 19. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია 22
მუხლი 20. დასკვნითი დებულებები 23

მუხლი 1. სამართლებრივი სტატუსი

1.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (შემდგომში - უნივერსიტეტი) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 21.12.1995 წელს, №5ა/4-278 დადგენილების საფუძველზე. სარეგისტრაციო ნომერი: №211359448.

1.2. უნივერსიტეტის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #240.

1.3. უნივერსიტეტის ძირითადი მისამართისაგან განსხვავებული მისამართია: ქ. თბილისი, ალეკო შენგელიას I შესახვევი, #6.

1.4. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართია: info@freeuni.edu.ge

1.5. სსიპ შემოსავლების სამსახურთან ურთიერთობებისათვის გამოიყენება შემდეგი ელექტრონული მისამართი: r.sreseli@freeuni.edu.ge

1.6. უნივერსიტეტს აქვს ლოგო, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

1.7. უნივერსიტეტის დევიზია - ცოდნა, შრომა, თავისუფლება; ლათინურად - Scientia, Labor, Libertas.

1.8. უნივერსიტეტი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

1.9. უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით.

1.10. უნივერსიტეტის 100%-იანი წილის მფლობელია 2007 წლის 4 ივნისს ქ. თბილისში, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ რეგისტრირებული საქველმოქმედო ორგანიზაცია - ა(ა)იპ ცოდნის ფონდი (შემდგომში - დამფუძნებელი), (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, #240; საიდენტიფიკაციო კოდი: №204530962).

მუხლი 2. უნივერსიტეტის მისია და ხედვა

2.1. **უნივერსიტეტის მისიაა** ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე:

2.1.1. განავითაროს საქართველოში სწავლის, სწავლების, კვლევის და ახალი ცოდნის შექმნის საუკეთესო შესაძლებლობები;

2.1.2. სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს;

2.1.3. უზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენის, განვითარებას;

2.1.4. იყოს ორიენტირებული სტუდენტების ინტერესებსა და მათ შემდგომ წარმატებაზე;

2.1.5. უნივერსიტეტი ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს გზას უხსნის თავისუფალი შემეცნებისაკენ და შესაძლებლობას აძლევს მათ უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონეზე:

- ესმოდეთ, რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება;
- შეეძლოთ რაოდენობრივი აზროვნება;
- შეეძლოთ საკუთარი აზრის პროფესიულად და აკადემიურად გამართულად ზეპირად და წერილობით გადაცემა;
- ახალი ცოდნის შესაძენად და შესაქმნელად მიმართონ კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას;
- მორალური ღირებულებების საფუძველზე მიიღონ ეთიკური გადაწყვეტილებები;

- აღიარებდნენ სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას და იყვნენ ტოლერანტული.

2.2. **უნივერსიტეტის ხედვა:**

2.2.1. უნივერსიტეტი არის სტუდენტებსა და მათ წარმატებაზე ორიენტირებული მაღალი რეპუტაციის მქონე უმაღლესი სასწავლო დაწესებულება და საქართველოში უმაღლესი განათლების ლიდერი.

2.2.2. განათლების სამივე საფეხურზე, უნივერსიტეტის პროგრამები ეყრდნობა ლიბერალური განათლების პრინციპებს, სტუდენტებს უვითარებს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებასა და პრაქტიკულ უნარებს.

მუხლი 3. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება-მოვალეობანი

3.1. უნივერსიტეტის დამფუძნებლის უფლება-მოვალეობებია:

3.1.1. უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

3.1.2. უნივერსიტეტის სახელით ვალდებულებათა აღება, რომლებიც არ განეკუთვნება უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას;

3.1.3. უნივერსიტეტის კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

3.1.4. უნივერსიტეტის მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

3.1.5. უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება, მასთან ხელშეკრულების გაფორმება და მისი საქმიანობის ზედამხედველობა;

3.1.6. წესდებაში ცვლილებების შეტანა;

3.1.7. ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

მუხლი 4. რექტორი

4.1. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭება რექტორს.

4.2. რექტორი უძღვება უნივერსიტეტის აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, კერძოდ:

4.2.1. კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ძირითადი ერთეულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნასა და განხორციელების პროცესს და ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს;

4.2.2. ამტკიცებს სტუდენტების მიღების წესს, კრიტერიუმებსა და პირობებს;

4.2.3. უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ხარისხის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და გამართული მართვის მექანიზმების ფუნქციონირებას;

4.2.4. განსაზღვრავს უნივერსიტეტის სწავლების პოლიტიკას;

4.2.5. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დეკანს/საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, დამფუძნებელთან შეთანხმებით;

4.2.6. თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის კანცლერსა და პრორექტორებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით;

4.2.7. იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულების (სკოლა/ინსტიტუტი) შექმნისა და გაუქმების შესახებ;

4.2.8. ანიჭებს უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის, საპატიო დოქტორის, ემერიტუსის განსაკუთრებულ წოდებებს;

4.2.9. ამტკიცებს პერსონალის შერჩევის წესს და აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს;

4.2.10. ქმნის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს - სამეცნიერო, კვლევით, სასწავლო, საინფორმაციო და სხვა ცენტრებს, დამფუძნებელთან შეთანხმებით, ამტკიცებს მათ დებულებებს; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ასეთი ერთეულების ხელმძღვანელებს;

4.2.11. უფლებამოსილია შექმნას შესაბამისი სკოლისთვის/საგანმანათლებლო პროგრამისთვის საკონსულტაციო ორგანო - მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება შესაბამისი სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებისგან;

4.2.12. უფლებამოსილია შექმნას ეთიკის საბჭო და დისციპლინური საბჭო და უხელმძღვანელოს მათ საქმიანობას;

4.2.13. ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

4.2.14. იღებს გადაწყვეტილებას ფინანსური რესურსების გამოყენების თაობაზე. ამტკიცებს ბიუჯეტს და მისი შედგენისა და შეცვლის წესს.

4.3. რექტორი ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და სხვა პროცესების მარეგულირებელ აქტებს.

4.4. რექტორი ქმნის და აუქმებს კომისიებს, საბჭოებს, სამუშაო ჯგუფებს და განსაზღვრავს მათ შემადგენლობას.

4.5. რექტორი ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან.

4.6. რექტორი თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

მუხლი 5. კანცლერი

5.1. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, კანცლერი იღებს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის შესახებ გადაწყვეტილებებს.

5.2. კანცლერი ქმნის და აუქმებს ადმინისტრაციულ კომისიებს, საბჭოებს, სამუშაო ჯგუფებს, განსაზღვრავს მათ შემადგენლობას და უზრუნველყოფს მათ გამართულ ფუნქციონირებას.

5.3. კანცლერი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური საქმიანობის ორგანიზებაზე; ხელმძღვანელობს ბიუჯეტირების პროცესს - ადგენს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტს.

5.4. კანცლერი ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს, რომლებიც გამომდინარეობს უნივერსიტეტის ყოველდღიური საქმიანობიდან.

5.5. კანცლერი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს.

მუხლი 6. ეთიკის საბჭო

6.1. უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან შემდეგი პირები:

6.1.1. უნივერსიტეტის რექტორი - ეთიკის საბჭოს თავმჯდომარე;

6.1.2. უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში - საბჭოს წევრი; ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

6.1.3. უნივერსიტეტის პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში - საბჭოს წევრი; ეთიკის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

6.1.4. ფიზიკის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.5. მათემატიკის, კომპიუტერული მეცნიერების და ინჟინერიის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.6. მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.7. სამართლის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.8. საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.9. ბიზნესის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.10. ვიზუალური ხელოვნების, არქიტექტურის და დიზაინის სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.11. სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.12. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

6.1.13. სტუდენტების დეკანი - საბჭოს წევრი;

6.1.14. სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

6.1.15. საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.

6.2. ეთიკის საბჭო მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესდების, „სტუდენტის ეთიკის კოდექსისა“ და „ეთიკის საბჭოს რეგლამენტის“ საფუძველზე.

მუხლი 7. დისციპლინური საბჭო

7.1. უნივერსიტეტის თანამშრომლის (შრომით ურთიერთობებში მყოფი პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობის, შრომის შინაგანაწესის, უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტების, შრომითი და უნივერსიტეტთან გაფორმებული სხვა კონტრაქტების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის დისციპლინური საბჭო.

7.2. დისციპლინური საბჭო შედგება შემდეგი პირებისაგან:

7.2.1. უნივერსიტეტის რექტორი - დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე;

7.2.2. უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო პროცესის მართვის საკითხებში - საბჭოს წევრი;

7.2.3. უნივერსიტეტის პრორექტორი პროგრამების განვითარების საკითხებში - საბჭოს წევრი;

7.2.4. უნივერსიტეტის კანცლერი - საბჭოს წევრი;

7.2.5. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის უფროსი - საბჭოს წევრი;

7.2.6. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი - საბჭოს წევრი.

7.3. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია, დისციპლინური საბჭოს მიერ განსახილველი საკითხის მნიშვნელოვნებიდან და სირთულიდან გამომდინარე, საბჭოს შესაბამის სხდომაზე, ხმის უფლებით, მოიწვიოს უნივერსიტეტის თანამშრომელი, რომელიც ფლობს საკითხის არსებითად განხილვისა და გადაწყვეტისათვის აუცილებელ ინფორმაციას, კომპეტენციებს ან/და უფლებამოსილებას.

7.4. დისციპლინური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, შრომის შინაგანაწესის, „დისციპლინური საბჭოს რეგლამენტისა“ და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოები

8.1. უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო საბჭო.

8.2. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, კანონქვემდებარე აქტების, ამ წესდების, სადოქტორო პროგრამისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

8.3. სადისერტაციო საბჭოს წევრებს 3 წლის ვადით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, ბრძანების საფუძველზე.

8.4. საჭიროების შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივება. სადისერტაციო საბჭოს წევრი უნდა იყოს დოქტორის კვალიფიკაციის მქონე პირი.

მუხლი 9. უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული (სკოლა/ინსტიტუტი/ლაბორატორია); უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულები

9.1. უნივერსიტეტის სკოლა/ინსტიტუტი/ლაბორატორია არის უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში ან/და ახორციელებს სხვა აკადემიურ-სამეცნიერო საქმიანობას.

9.2. უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, სხვადასხვა სამეცნიერო, კვლევითი, კულტურული, შემოქმედებითი, ტექნიკური და ეკონომიკური საქმიანობის განვითარების მიზნით, იქმნება და ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეულები - სამეცნიერო, კვლევითი, სასწავლო, საინფორმაციო და სხვა ინსტიტუტები ან ცენტრები.

9.3. უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/სკოლის ფარგლებში მოქმედი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობას. კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია უფლებამოსილია სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე რეკომენდაცია წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს იმ შემთხვევაში, თუ კუმულაციურად დაკმაყოფილებულია მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება (ა) სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლებს, (ბ) სტუდენტის ქცევის „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობას, ამ მუხლის 9.4 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით და (გ) სტუდენტზე დაკისრებული ფინანსური ვალდებულებების შესრულებას.

9.4. „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ დადგენილ სტანდარტებთან სტუდენტის ქცევის შესაბამისობის დადგენისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რათა არ დადგეს უნივერსიტეტისათვის გამოუსწორებელი და შეუქცევადი შედეგები „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ იმ დამრღვევ პირზე დიპლომის გაცემის სახით, რომელსაც ეთიკის საბჭომ დისციპლინური სანქციის სახით შეუფარდა თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

მუხლი 10. დეკანი

10.1. დეკანს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, დამფუძნებელთან შეთანხმებით.

10.2. დეკანი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის საქმიანობის ორგანიზებაზე.

10.3. დეკანი უნივერსიტეტის „სტრუქტურული ერთეულების დებულების“ შესაბამისად ახორციელებს უნივერსიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულის ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე სხვა უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 11. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი

11.1. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსი შედგება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, აკადემიური დამხმარე, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისაგან, რომელთა საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის შრომის შინაგანაწესი. პერსონალის შრომითი ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ასევე, შრომითი ხელშეკრულების დანართების) საფუძველზე.

11.2. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალში მოიაზრება ყველა სახის პროფესორი და ლექტორი, რომლებიც დასაქმებულნი არიან უნივერსიტეტში სრული დატვირთვით ან/და აქვთ აკადემიური თანამდებობა/სტატუსი.

11.3. პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნებიან პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი.

11.4. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და სამეცნიერო კვლევებში ან/და წარმართავენ მათ.

11.5. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საჯაროობის, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

11.6. ღია კონკურსი წარმოებს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპზე დაყრდნობით, მათ შორის, აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობით.

11.7. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

11.8. ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება.

11.9. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი. ასისტენტ-პროფესორი თანამდებობაზე აირჩევა 3 ან 4 წლის ვადით.

11.10. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება

დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

11.11. პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე პირი აირჩევა 3-4 წლის ვადით.

11.12. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით მოქმედებს საკონკურსო კომისია, რომლის წევრები არიან:

ა) რექტორი;

ბ) კანცლერი;

გ) პრორექტორები.

11.13. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე არის რექტორი.

11.14. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

11.15. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, მის შემადგენლობაში შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ იქნეს უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელი.

11.16. კონკურსის სამართლიანად, კვალიფიციურად და ობიექტურად ჩატარების მიზნით, საკონკურსო კომისია კონკურსის გამოცხადების შემდეგ, საჭიროებისამებრ, ქმნის სპეციალიზებულ ქვეკომისიებს და ამტკიცებს მათ შემადგენლობას. ქვეკომისიის გადაწყვეტილებას სარეკომენდაციო ხასიათი აქვს. სპეციალიზებული ქვეკომისია წყვეტს საქმიანობას კონკურსის დასრულებისთანავე.

11.17. აკადემიური პერსონალის შერჩევის ეტაპები განისაზღვრება უნივერსიტეტის „პერსონალის შერჩევის წესის“ შესაბამისად.

11.18. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს ლექტორები.

11.19. მოწვეული ლექტორი უფლებამოსილია გაუძღვეს ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე.

11.20. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ამ წესით გათვალისწინებული აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით.

11.21. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის მიანიჭოს გამორჩეული პროფესორის, საპატიო დოქტორის ან ემერიტუსის წოდება.

11.22. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი და პერსონალთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება.

11.23. უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული თანამდებობების მქონე პერსონალი უფლებამოსილია, სათანადო კვალიფიკაციის ფლობის შემთხვევაში, პარალელურად ეკავოს უნივერსიტეტში სხვა აკადემიური, სამეცნიერო ან ადმინისტრაციული თანამდებობა.

11.24. უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი პერსონალი. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შერჩევის მიზნით გამოაცხადოს კონკურსი.

მუხლი 12. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები

12.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი/ინსტიტუტი/ლაბორატორია არის უნივერსიტეტის კვლევითი ერთეული, სადაც წარიმართება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

12.2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის/ლაბორატორიის შექმნის/გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, დამფუძნებელთან შეთანხმებით.

12.3. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის/ინსტიტუტის/ლაბორატორიის სამეცნიერო/კვლევით საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც მონაწილეობას იღებს ცენტრში/ინსტიტუტში/ლაბორატორიაში არსებულ სამეცნიერო/კვლევით საქმიანობაში.

12.4. ცენტრის/ინსტიტუტის /ლაბორატორიის ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ მხარდაჭერას ახორციელებს შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

მუხლი 13. განსაკუთრებული წოდებები

13.1. უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის აკადემიური საზოგადოების, სადისერტაციო საბჭოების ან უნივერსიტეტის სკოლის წარდგინების საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას განსაკუთრებული წოდების მინიჭების თაობაზე.

13.2. რექტორი იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორის, საპატიო დოქტორის და ემერიტუსის განსაკუთრებული წოდებების მინიჭების თაობაზე.

13.3. უნივერსიტეტის გამორჩეული პროფესორი (Distinguished Professor) წარმოადგენს განსაკუთრებულ წოდებას, რომელიც ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული, საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილისათვის.

13.4. გამორჩეული პროფესორის წოდება ენიჭება უნივერსიტეტის პროფესორს ან სხვა მეცნიერს. ეს უკანასკნელი არის უნივერსიტეტის მოწვეული მეცნიერი.

13.5. გამორჩეული პროფესორის, როგორც მოწვეული მეცნიერის, უფლება-მოვალეობებია:

13.5.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობა;

13.5.2. უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის წარმოება და ლექციების ჩატარება;

13.5.3. უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და ქვეყნის გარეთ;

13.5.4. უნივერსიტეტის აკადემიური ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;

13.5.5. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა;

13.5.6. სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში უნივერსიტეტის მხარდაჭერა.

13.6. გამორჩეული პროფესორის წოდების მინიჭება ხდება საგანგებო საზეიმო ცერემონიაზე, სადაც გამორჩეულ პროფესორს გადაეცემა სამკერდე ნიშანი, სიგელი და მანტია.

13.7. საპატიო დოქტორი *(Doctor Honoris Causa)*/ემერიტუსი *(Emeritus)* წარმოადგენს განსაკუთრებულ წოდებას, რომელიც ენიჭება საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს მეცნიერების ან/და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

13.8. კანონმდებლობის შესაბამისად, საპატიო დოქტორის/ემერიტუსის წოდების მქონე პირს იმავდროულად არ შეიძლება ეკავოს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობა.

13.9. საპატიო დოქტორის/ემერიტუსის, როგორც მოწვეული მეცნიერის, უფლება-მოვალეობებია:

13.9.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობის ხელშეწყობა;

13.9.2. უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის წარმოება და ლექციების ჩატარება;

13.9.3. უნივერსიტეტის სახელით სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

13.9.4. უნივერსიტეტის აკადემიური ორგანოების მუშაობაში მონაწილეობის მიღება;

13.9.5. დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელობა;

13.9.6. სამეცნიერო პროექტების განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიებაში უნივერსიტეტის მხარდაჭერა.

13.10. საპატიო დოქტორის/ემერიტუსის წოდების მინიჭება ხდება საზეიმო ცერემონიაზე, სადაც საპატიო დოქტორს/ემერიტუსს გადაეცემა სამკერდე ნიშანი, სიგელი და მანტია.

13.11. უნივერსიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტში შეიძლება არსებობდეს საპატიო დოქტორის/ემერიტუსის სახელობის ლაბორატორიები, აუდიტორიები, სტიპენდიები და სხვა.

მუხლი 14. სტუდენტი

14.1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს სრულად ისარგებლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებებით, ხოლო უნივერსიტეტი ვალდებულია, განუხრელად აღასრულოს და ხელი შეუწყოს სტუდენტს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში.

14.2. უნივერსიტეტი, ამ წესდებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების მეშვეობით, ქმნის ისეთ სამართლებრივ გარემოს, რომელიც სრულფასოვნად უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: http://freeuni.edu.ge.

14.3. უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტზე მორგებული გარემო, რაც გულისხმობს ხარისხიანი და მრავალფეროვანი განათლების მიწოდებას, საჯარო ლექციების, კონფერენციების და სხვა შემეცნებითი ღონისძიებების გამართვას, სხვადასხვა კონკურსში სტუდენტთა მონაწილეობის მხარდაჭერას, საკონსულტაციო მომსახურების გაწევას და სტუდენტური ღონისძიებების ხელშეწყობას.

14.4. სტუდენტი უფლებამოსილია, შეუფერხებლად, დადგენილი წესით, ისარგებლოს უნივერსიტეტის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, როგორიცაა, მათ შორის: სხვადასხვა ზომის აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონფერენციო დარბაზები, ბიბლიოთეკა, მუზეუმი,

კაფეტერია, სპორტული დარბაზები და მოედნები, შიდა ეზოები და დენდროლოგიური პარკი, პარკინგი.

14.5. უნივერსიტეტი, რესურსის მაქსიმალური გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის განათლების აუცილებელი პირობების შექმნას.

14.6. სტუდენტი ვალდებულია ისწავლოს ყველა ის საგანი, რომლის სწავლებაც სავალდებულოა და რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია, დაიცვას უნივერსიტეტის წესდება, „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“, „გამოცდების ჩატარების წესი“ და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვა აქტები. უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ განთავსებულია ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

14.7. უნივერსიტეტი ვალდებულია თითოეული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი გახადოს „სტუდენტის ეთიკის კოდექსი“, რომელიც აწესებს შეზღუდვას სტუდენტის გარკვეულ ქმედებებზე და უკავშირდება საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას. უნივერსიტეტი „სტუდენტის ეთიკის კოდექსში“ დეტალურად განსაზღვრავს ქცევის წესს, რომელიც იწვევს სტუდენტის დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

14.8. სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს როგორც შიდა, ასევე სწავლების მეორე წლიდან გარე მობილობის უფლებით, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.

14.9. სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი უფლებები განახორციელონ:

- ინდივიდუალურად,
- ჯგუფურად, ან
- შექმნან და მართონ სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები ინტერესების, მიზნების, ამოცანების, ან ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების შესაბამისად.

14.10. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები (რეგისტრირებულიც და არარეგისტრირებულიც) თავიანთი საქმიანობით უნდა შეესაბამებოდნენ და იცავდნენ უნივერსიტეტის წესდებას, “სტუდენტის ეთიკის კოდექსს”, “გამოცდებისა და შეფასებების ადმინისტრირების წესს”, უნივერსიტეტის მიერ მიღებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნებს, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხების მომწესრიგებელი დოკუმენტის პრინციპებს, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

14.11. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანება:

- უნდა იყოს უნივერსიტეტის მისიის შესაბამისი,
- უნდა იყოს აპოლიტიკური,
- არ უნდა წარმოადგენდეს სხვა პირებს/ორგანიზაციებს,

- არ უნდა იყოს ფორმალურად ან არაფორმალურად აფილირებული გარე პირთან,
- თავისი საქმიანობით არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ან აზარალებდეს უნივერსიტეტის ინტერესებს, ავტორიტეტსა და საზოგადოებრივ იმიჯს,
- არ უნდა გამოთქვას მოსაზრებები, არ უნდა გააკეთოს საჯარო განცხადებები ან შეთავაზებები და არ გასცეს დაპირებები თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სახელით,
- არ უნდა გამოიყენოს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სახელი სხვა პირებთან ურთიერთობებსა და კომუნიკაციებში,
- არ უნდა გამოყენოს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლოგო და სხვა ატრიბუტიკა.

14.12. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები ვალდებულნი არიან, ამ მუხლის 14.10 და 14.11 პუნქტების დებულებები სრულად ასახონ გაერთიანების დებულებაში და უზრუნველყონ მათი განუხრელი დაცვა.

14.13. ამ მუხლის 14.10 და 14.11 პუნქტების პირობების დაუცველობის შემთხვევაში, სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებების საქმიანობა შეიზღუდება ან/და მათი რეგისტრაცია გაუქმდება "სტუდენტის ეთიკის კოდექსის" დებულებათა საფუძველზე.

14.14. უნივერსიტეტის/სკოლის ადმინისტრაცია არ ერევა სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებების საქმიანობაში და არ აწესებს პრივილეგიებს რომელიმე მათგანისათვის.

14.15. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები შეიძლება იყოს უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული. რეგისტრაციას ახორციელებს სტუდენტების დეკანი, ასეთი გაერთიანებების ერთიან სიაში შეტანის გზით.

14.16. რეგისტრაციის მიზნით სტუდენტურმა თვითორგანიზებულმა/თვითმმართველმა გაერთიანებებმა სტუდენტების დეკანს უნდა მიმართონ წერილობითი განაცხადით და წარუდგინონ:

- გაერთიანების დებულება,

- მმართველი ორგანოს ან მმართველი ორგანოების შემადგენლობა,

- წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

14.17. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები ვალდებულნი არიან, ამ გაერთიანების დებულებაში, მმართველ ორგანოში/ორგანოებში და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ში განხორციელებული ცვლილებები დაუყოვნებლივ აცნობონ სტუდენტების დეკანს და წარუდგინონ განახლებული დებულება. თუკი ასეთი ცვლილებები არ არის წარდგენილი, უნივერსიტეტი უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს მისთვის ცნობილი მოცემულობითა და მონაცემებით.

14.18. არარეგისტირებული სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები მოქმედებენ ამ წესდების, უნივერსიტეტის მარეგულირებელი დოკუმენტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და სარგებლობენ მათ საფუძველზე მინიჭებული ყველა უფლებითა და პრივილეგიით.

14.19. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანება უნდა იმართებოდეს ამ გაერთიანების წევრთა მონაწილეობით ჩატარებული საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების გზით და ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირ(ებ)ის ან/და მმართველი ორგანოს/ორგანოების მიერ.

14.20. ყველა სტუდენტს, რომელსაც აქვს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის აქტიური სტატუსი, აქვს უფლება არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანების წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირად/მმართველ ორგანოში და მონაწილეობდეს ამ გაერთიანების საქმიანობაში.

14.21. თბილისის თავისუფლი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა დაუყოვნებლივ და ავტომატურად იწვევს შესაბამისი სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანების წევრის სტატუსის, წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის სტატუსის, მმართველი ორგანოს წევრის სტატუსის შეჩერებას ან შეწყვეტას.

14.22. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანება თავისი დებულებისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად:

- უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტის მიზნების მიღწევაში;
- ხელს უწყობს გაერთიანების წევრების კანონიერი ინტერესების დაცვას;
- შეუძლია შეიმუშაოს იდეები და წინადადებები უნივერსიტეტის სტუდენტური ცხოვრების, გარემოს, მმართველობისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის უფლებამოსილ პირებს;
- განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

14.23. სტუდენტურ თვითორგანიზებულ/თვითმმართველ გაერთიანებას შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელის/მართვის ორგანოების წინაშე დააყენოს საკითხები, გამართოს კონსულტაციები ან მიიღოს მონაწილეობა შესაბამის სამუშაო ჯგუფში გაერთიანებისათვის საინტერესო საკითხებზე; სტუდენტის თანხმობით, ისარგებლოს წარმომადგენლის სტატუსით ეთიკის საბჭოს სხდომებზე.

14.24. სტუდენტური თვითორგანიზებული/თვითმმართველი გაერთიანებები არ იღებენ მონაწილეობას აკადემიური კვალიფიკაციის მინიჭების პროცესში და მათი უფლებამოსილებები შემოფარგლულია გაერთიანების დებულებით.

მუხლი 15. სტუდენტის პასუხისმგებლობა „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში

15.1. სტუდენტის მიერ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების საკითხს წყვეტს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო. ეთიკის საბჭოს რეგლამენტსა და შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია სტუდენტის მიერ ჩადენილი დარღვევის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:

15.1.1. წერილობითი გაფრთხილება ან/და შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში უარყოფითი F შეფასება;

15.1.2. ფულადი ჯარიმა;

15.1.3. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის „საბაკალავრო პროგრამების დებულების“ 11.19 პუნქტის შესაბამისად, სტუდენტისათვის უნივერსიტეტის კეთილი ნებით გადაცემული პირველი 15 დამატებითი კრედიტის აუთვისებელი ნაწილის გაუქმება ან/და გამოყენებული კრედიტების შესაბამისი ღირებულების ანაზღაურების დაკისრება სტუდენტისათვის;

15.1.4. ეთიკის საბჭოს მიმართვის საფუძველზე, „ცოდნის ფონდის“ მიერ სტუდენტისათვის გადაცემული სასწავლო გრანტისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაუქმება;

15.1.5. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

15.2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა „სტუდენტის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული შემთხვევებისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

15.3. სტუდენტს უფლება აქვს, დაესწროს ეთიკის საბჭოს განხილვას და ასევე, სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება. უნივერსიტეტი ვალდებულია ინფორმაცია სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების შესახებ შეინახოს განცალკევებულად. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის შენახვისას ადმინისტრაცია ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.4. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის აქტებით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს უნივერსიტეტმა. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური

გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სამართლიანი პროცედურის გზით.

15.5. სტუდენტის მიერ "სტუდენტის ეთიკის კოდექსის" ისეთი დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, რაც შედეგად იწვევს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების არსებით პირობათა დარღვევად და ავტომატურად იწვევს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას, ათავისუფლებს უნივერსიტეტს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან და აჩერებს უნივერსიტეტის მიერ ამ ვალდებულებების შესრულებას, რის შედეგადაც სტუდენტი კარგავს შეფასებების ან/და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას.

15.6. სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება იწვევს სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტას იმ შემთხვევაში, თუ „სტუდენტის ეთიკის კოდექსის" შესაბამისი მუხლი შესაძლო სანქციის სახით ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასაც, თუმცაღა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ასეთ შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს მიმდინარე წლის პირობებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებას სტუდენტის მიერ ჩადენილი დარღვევის გარემოებებისა და დაკისრებული სანქციების გათვალისწინებით.

მუხლი 16. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერება

16.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერებულ იქნეს არაუმეტეს 5 წლის ვადით. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

16.2. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

16.2.1. სტუდენტის მიერ სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

16.2.2. აკადემიური შვებულება;

16.2.3. სტუდენტის პირადი განცხადება;

16.2.4. უნივერსიტეტისადმი ფინანსური დავალიანების არსებობა;

16.2.5. თუ ბაკალავრიატის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 10 სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს;

16.2.6. თუ მაგისტრატურის სტუდენტი სწავლის დაწყებიდან 6 სემესტრის განმავლობაში ვერ მიიღებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ შესაბამისი ოდენობის კრედიტებს;

16.2.7. სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება.

16.3. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი და გამოიცემა შესაბამისი ბრძანება.

16.4. სტუდენტის აკადემიური შვებულების საფუძველია:

16.4.1. საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

16.4.2. სავალდებულო სამხედრო სამსახური;

16.4.3. ხანგრძლივი შრომისუუნარობა;

16.4.4. ოჯახური პირობები/გარემოებები;

16.4.5. პირადი განცხადება (მათ შორის, მიზეზის მითითების გარეშე).

16.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

16.6. სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია სტუდენტს შეუჩეროს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი.

16.7. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით, სტუდენტი წერილობითი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

16.8. სტუდენტს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი აღუდგება უახლოესი სემესტრის დაწყებამდე, რექტორის ბრძანების საფუძველზე. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდეგ, შესაბამისი სასწავლო წლის პირობებით სწავლის გაგრძელებისა და მიმდინარე წლის პირობებით ახალი ხელშეკრულების გაფორმების მიზნით, სტუდენტი მიმართავს უნივერსიტეტს.

მუხლი 17. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

17.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

17.1.1.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების შესაბამისად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა;

17.1.2. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

17.1.3. პირადი განცხადება;

17.1.4. სტუდენტის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, რომელიც გამორიცხავს სტუდენტის მონაწილეობის შესაძლებლობას სასწავლო პროცესში;

17.1.5. „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ დარღვევის საფუძველზე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება; სტუდენტის მიერ "სტუდენტის ეთიკის კოდექსის" იმ დებულებათა დარღვევა, რაც შედეგად იწვევს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულების არსებით პირობათა დარღვევად და ავტომატურად იწვევს უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას, ათავისუფლებს უნივერსიტეტს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან და აჩერებს უნივერსიტეტის მიერ ამ ვალდებულებების შესრულებას, რის შედეგადაც სტუდენტი კარგავს შეფასებების ან/და კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას;

17.1.6. გარდაცვალება.

17.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ დარღვევის გამო, ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, სტუდენტს შეუწყვიტოს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი და ასევე, გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

17.3. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგები დგება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს გარე მობილობის უფლებით და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაუბრკოლებლად განაგრძოს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული განათლების უფლების რეალიზება.

17.4. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი იყო „სტუდენტის ეთიკის კოდექსის“ დარღვევის შედეგად ეთიკის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მუხლი 18. ინტერესთა კონფლიქტი

18.1. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ სხვა პირისათვის სამუშაოს შესრულება უნივერსიტეტისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინებისა და უნივერსიტეტისაგან სათანადო თანხმობის მიღების გარეშე.

18.2. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ ნებისმიერი მოკლე თუ გრძელვადიანი სამუშაოს შესრულება იმ პირისათვის, რომელიც უნივერსიტეტის კონკურენტი ან პოტენციური კონკურენტია.

18.3. ინტერესთა კონფლიქტად განიხილება დასაქმებულის მიერ ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც თავისი არსით შეუთავსებელია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან ან/და რეპუტაციულ ზიანს აყენებს უნივერსიტეტს.

18.4. დასაქმებული ვალდებულია უნივერსიტეტთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნივერსიტეტში მუშაობის შედეგად მიღებული ინფორმაცია ან გამოცდილება არ გამოიყენოს უნივერსიტეტის ინტერესების საზიანოდ, ან უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობის შემცირების მიზნით.

18.5. დასაქმებულის მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება და დასაქმებულს დააკისროს უნივერსიტეტისათვის მიყენებული ზიანის თანაზომიერი ფინანსური სანქციები.

მუხლი 19. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

უნივერსიტეტის ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უნივერსიტეტის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

20.1. წინამდებარე წესდებაში ცვლილებებს ან/და ახალ წესდებას ამტკიცებს უნივერსიტეტის დამფუძნებელი.

20.2. წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ძალადაკარგულად ან ბათილად აღიარება გავლენას არ ახდენს წესდების დანარჩენი მუხლების იურიდიულ ძალაზე.